სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № MOH 6 22 00000011

ქ. თბილისი

20/06/2022 წელი

„მაიმუნის ყვავილის შესაძლო გავრცელების და აღკვეთის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 13 ივნისის № MOH 7 22 00000003 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

1. „მაიმუნის ყვავილის შესაძლო გავრცელების და აღკვეთის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2022 წლის 13 ივნისის № MOH 7 22 00000003 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ მაიმუნის ყვავილით ინფიცირებული პაციენტების სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერის და იზოლაციის მოხსნის მითითებები და კრიტერიუმები (დროებითი) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისათვის“ - დანართი # 5 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი #5-ის შესაბამისად.

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ“ მაიმუნის ყვავილის ვირუსით გამოწვეულ ეპიდაფეთქებაზე რეაგირების ოპერაციული გეგმა (დროებითი) - დანართი # 6.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი
ამირან გამყრელიძე